


ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომათა დარბაზის აკუსტიკური პროექტი უნდა მომზადდეს შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

- საუბრის გარჩევადობის ინდექსი (STI) უნდა შეადგენდეს 0.6-ზე მეტს.
- რევერბერაციის დრო 500-1000 ჰერცებზე უნდა იყოს არანაკლებ 0.7 და არაუმეტეს 0.9 დიაპაზონისა.

სხდომათა დარბაზის პარამეტრები:



პრეტენდენტის მიერ მომზადებული აკუსტიკური პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ე.წ „მინა ბამბა“ ან „ქვა ბამბა“-ის ბაზაზე დამზადებული აკუსტიკური ფილების გამოყენებას, რომლის ზედაპირიც უნდა იყოს ჭერის შემთხვევაში გლუვი, ხოლო კედლის შემთხვევაში ნაჭრით დაფარული. აკუსტიკური დიზაინი და ვიზუალური რენდერები უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან. გასათვალისწინებელია, რომ არსებული დარბაზის ვიზუალური მხარის რადიკალური ცვლილება დაუშვებელია, როგორც ფერში, ისე გამოსაყენებელი მასალების ფორმების მხრივ.

სასამართლოს სხდომათა დარბაზში ასევე უნდა მოეწყოს აუდიო გახმოვანების სისტემა შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტების საჭიროებით:

- ბატისყელა მიკროფონი (თავსებადი ბაზით) 4 ცალი;

მაგიდის საკონფერენციო ბატისყელა მიკროფონი თავსებადი ბაზით, მიკროფონის ყელის სიგრძე არანაკლებ 37 სმ - არაუმეტეს 48 სმ, მიკროფონის ტიპი კარდიოიდული, კონდენსატორული, სიხშირეთა დიაპაზონი ქვედა ზღვარი არაუმეტეს 89 ჰერცი, ზედა ზღვარი არანაკლებ 16 კილოჰერცი, სიგნალის ხმაურთან შეფარდება არაუმეტეს 86 დეციბელი, ფანტომური კვება არანაკლებ 9 ვოლტი არაუმეტეს 52 ვოლტი, წინაღობა არანაკლებ 100 ომი - არაუმეტეს 300 ომი, XLR კონექტორით

- ბრალდენულის მიკროფონი 1 ცალი;

მიკროფონის ტიპი: Boundary Microphone, მიკროფონის კაპსულის ტიპი: Electret Condenser, მიმართულები დიაგრამა: ნახევარ კარდიოიდული ან სუპერკარდიოიდული, სიხშირული დიაპაზონი: დაბალი სიხშირე არაუმეტეს 80 Hz, ხოლო მაღალი სიხშირე არანაკლებ 10 kHz,

გამავალი წინაღობა არანაკლებ 75 და არაუმეტეს 300 ომი, კვების წყარო არანაკლებ 9 და არაუმეტეს 52 ვოლტი ფანტომური კვება, კონექტორი: XLR Mini „მამალი“

➤ დინამიკების 2 კომპლექტი (კოლონური ტიპის სისტემის);

პასიური კოლონური სატელიტის სისტემა - სიხშირეთა დიაპაზონის ქვედა ზღვარი არაუმეტეს 160 ჰერცი, ზედა ზღვარი არანაკლებ 16 კილოჰერცი. ინტეგრირებული არანაკლებ 8 - არაუმეტეს 18 ცალი დინამიკი ზომით არანაკლებ 0.75" - არაუმეტეს 5.1" ზომის დინამიკით, ჰორიზონტალური გაშლის კუთხე არანაკლებ 70 ° - არაუმეტეს 175°, მგრძნობელობა არანაკლებ 88 დეციბელი 1W1m, სიმძლავრე არანაკლებ 200 ვატი და არაუმეტეს 700 ვატი RMS რეჟიმში, პასიური სატელიტის წინაღობა უნდა ემთხვეოდეს აქტიურ სუბბუფერში ინტეგრირებული გამაძლიერებლის წინაღობას ან/და გამაძლიერებლის წინაღობას

აქტიური სუბ ბუფერი ან/და გამაძლიერებელი:

სუბ ბუფერის ტექნიკური მახასიათებელი - ინტეგრირებული ციფრული (Class D) გამაძლიერებლით, სიხშირეთა დიაპაზონის ქვედა ზღვარი არაუმეტეს 60 ჰერცი, ზედა ზღვარი არანაკლებ 110 ჰერცი, -10 დეციბელი რეჟიმში. დინამიკი 1 ცალი არანაკლებ 10" - არაუმეტეს 12" ზომის. სიმძლავრე არანაკლებ 1200 ვატი - არაუმეტეს 2000 ვატი. აქტიური სუბ ბუფერის წინაღობა უნდა ემთხვეოდეს პასიური სატელიტის წინაღობას.

გამაძლიერებლის ტექნიკური მახასიათებელი - ციფრული (Class D) გამაძლიერებელი, სიხშირეთა დიაპაზონის ქვედა ზღვარი არაუმეტეს 87 ჰერცი, ზედა ზღვარი არანაკლებ 17000 ჰერცი, არანაკლებ ორი გამომავალი არხი, სიმძლავრე არანაკლებ 900 ვატი - არაუმეტეს 3500 ვატი. გამაძლიერებლის წინაღობა უნდა ემთხვეოდეს პასიური სატელიტის წინაღობას.

➤ აუდიო მიქშერი (შემსყიდველის საკუთრებაში არსებული აუდიო მიქშერი Presonus).

სხვა დამატებითი კომპონენტები დამკვეთთან შეთანხმებით.

პრეტენდენტის მიერ მომზადებული აკუსტიკური პროექტის მიხედვით ჩატარებული აკუსტიკური სამუშაოების შედეგად მიღწეული პარამეტრების აზომვა შესაძლებელია მოხდეს პრეტენდენტისვე მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული აკუსტიკური საზომი ხელსაწყოთი, რომელიც უნდა იყოს აღჭურვილი Class 1 ტიპის მიკროფონით, ქარხნულად კალიბრირებული უნდა იყოს აზომვების ჩატარებამდე არაუმეტეს 11 თვით ადრე. ასევე, მიკროფონს უნდა ჩაუტარდეს კალიბრაცია როგორც აზომვების დაწყებამდე ისე დასრულებისას.